ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1083311

ნომერი: AR1190000

თარიღი : 14.01.2014

გაცემის თარიღი : 17.01.2014

გაცნობის თარიღი : 23.01.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 83/11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ ურუშაძე პ/ნ 01005003987
- დ.აღმაშენებლის 55/1

ორგანიზაცია:

- MEDISON კოდი: 404923632

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნული სამუშაოების განხორციელება, თუმცა შესაბამისი წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. ვინაიდან წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით გარდა ღიობების მოწყობისა, ასევე ხდება ფასადის მოპირკეთება და სარეკლამო აბრების მოწყობაც, შესაბამისად თქვენს მიერ არჩეულ ნომენკლატურასთან ერთად უნდა აირჩიოთ: " აბრებისა და რეკლამების განთავსება – ახალი მშენებლობა" და "შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება – რეკონსტრუქცია";
2. ვინაიდან სარეკონსტრუქციო სამუშაოები ასევე ეხება საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთზე ქვაფენილის მოწყობასაც, საჭიროა წარმადგინოთ თანამესაკუთრის შპს "ედემი"–ს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მარინე ფანიაშვილის თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე, რომელიც შეგიძლიათ ატვირთოთ "ფაილის მიმაგრების" ველში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.